იორდანიის როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ უსაფრთხოებაში

მაია კაპანაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
საქართველო, ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა 73, 0179.
+995 558 766 887. maia.kspanadze@ciu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-7460-5374
ომარ თურმანიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის
მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული
თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა
და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი.
საქართველო, ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა 73, 0179.
+995 577 195 709 . o.turmanidze1984@gmail.com
https://orcid.org/0009-0000-3957-4472

აბსტრაქტი

იორდანია ახლო აღმოსავლეთის და ამავე დროს სპარსეთის ყურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა. ის რეგიონში მიმდინარე რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე ცდილობს თავიდან აირიდოს ის რყევები, რასაც ამ რეგიონის ბევრი ქვეყანა განიცდის.

იორდანია აქტიურად ერთვებოდა ისრაელ-არაბულ ქვეყნებს შორის წარმოებულ ომებში. მისი მიზანი არა პალესტინისათის დახმარების აღმოჩენა, არამედ საკუთრივ იორდანიისათვის გარკვეული ტერიტორიული შენაძენის მიღება. სპარსეთის ყურის ომების დროს იორდანის ჰაშიმიტების სამეფომ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და ცდილობდა მშვიდობის დამყარებისთვის გარკვეული როლი შეესრულებინა სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის.

იორდანიამ დროთა განმავლობაში თავისი საგარეო პოლიტიკური კურსი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სამეზობლო ქვეყნებს შორის შეცვალა. მისი მიზანი უკვე გასული საუკუნის ბოლოდან ამ კონფლიქტებით გამორჩეულ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება გახდა. აქედან მოყოლებული, იორდანია ცდილობს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის დაძაბულობა განხმუხტოს და ხელი შეუშალოს საომარი მოქმედებების ესკალაციას. ამისი ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ უკვე კარგა ხანია, იორდანია არცერთ კონფლიქტში მხარეს არ წარმოადგენს და ამავე დროს, იღებს ლტოლვილებს პალესტინიდან, სირიიდან, ლიბანიდან და ერაყიდან. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ამ ლტოლვილებს შედარებით უკეთესი პირობები იორდამიაში აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ იორდანია იზიარებს რეგიონში არსებულ პრობლემებს, მისმა მმართველებმა მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების ვალდებულება იკისრეს.

საკვანძო სიტყვები: იორდანია; რეგიონი; ყურე; კონფლიქტი; ლტოლვილი.

შესავალი

იორდანია როგორც სახელმწიფო, ომთაშორის პერიოდში ჩამოყალიბდა. ამ ქვეყნის სრული სახელწოდებაა იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო. ამ ქვეყნის სახელმწიფო წყობილება კონსტიტუციური მონარქიაა. იორდანია ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სათავეში უდგას ჰაშიმიანთა (მოციქულ მუჰამმადის პირ-

დაპირი შთამომავლები) დინასტია. ეს სახელმწიფო აქტიურად იყო ჩართული ახლო აღმოსავლეთია რეგიონში მიმდინარე კონ-ფლიქტებში. XX საუკუნის დასასრულიდან იორდანიამ შედარ-ებით მშვიდი პოლიტიკა აირჩია, ამიტომ ის ცდილობს ნაკლებად ჩაერთოს ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ კონფლიქტურ სიტუაციებში, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს რეგიონში მიმდინარე პრობლემებისგან დისტანცირებას.

ჰიპოთეზა

იორდანია, რომელიც ცდილობს მშვიდი პოლიტიკური კუ-რსის გატარებას ახლო აღმოსავლეთის რეგიინში, ის მაინც მეტ-ნაკლებად ჩართულია რეგიონულ პრობლემატიკაში. ეს გარდაუ-ვალიცაა, რადგან ქვეყანა ამ რეგიინშია და თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ის ასევე „სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ წევრიცაა, რომელიც ერთ-ერთი ქმნედითუნარიანი ორგანიზაციაა ამ რეგიონში.

საკვლევი კითხვები

რატომ ერთვებოდა იორდანია ისრაელ-პალესტინის კონფ-ლიქტში?

რა როლი შეასრულა იორდანიამ „ სპარსეთის ყურის ომე-ბის“ დროს?

რატომ შეცვალა იორდანიამ საგარეო პოლიტიკური კურსი რეგიონის ფარგლებში?

მეთოდები

სტატია ეფუძნება ისტორიური-აღწერილობითი, ინტერდ-ისციპლინარულ და კონტენტ-ანალიზის კვლევის მეთოდებს.

შედეგები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვკვეთეთ, თუ რამდენად ახერხებს იორდანია ახლო აღმოსავლეთის რეგი-ონში მიმდინარე რთული პოლიტიკური მოვლენების ფონზე თა-ვიდან აირიდოს ის რყევები, რასაც ამ რეგიონის ბევრი ქვეყანა განიცდის.

დისკუსია

იორდანია ახალგაზრდა არაბული სახელმწიფოა, რომელიც უძველეს მიწაზე მდებარეობს და ატარებს მრავალი ცივილიზაციის კვალს. აქ ისლამის გავრცელება VII საუკუნიდან დაიწყო, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ამ ტერიტორიაზე არაბთა სახალიფომ მოიპოვა ჰეგემონობა. შუა საუკუნეებში იორდანია მამლუქთა ეგვიპტეს ექვემდებარებოდა, ხოლო 1516 წელს ის ოსმალებმა დაიპყრეს, მაგრამ მან ავტონომიურობა შეინარჩუნა XIX საუკუნის შუა ხანებამდე, თანზიმათამდე. იმ დროიდან კი ოსმალეთის იმპერიამ რეგიონში გაამკაცრა კონტროლი, განსაკუთრებით ლევანტის ტერიტორიებზე (Maggiolini, 2011:11-12).

თანდათან მოხდა ჰაშიმიტთა პოლიტიკურ ველზე გააქტიურება და ტრანსიორდანიის სახელმწიფოს წარმოქმნა. ჯერ დაარსდა საამირო, შემდეგ სამეფო. საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ ვისაუბროთ იორდანიის მმართველი ოჯახის, ჰაშიმიტების შესახებ. ეს დინასტია წინასწარმეტყველ მუჰამმადის პირდაპირი შთამომავლები არიან (ჰაშიმიტები - არაბ. الهاشميون, al-Hāshimīyūn ან „ბანი ჰაშემი“ - “Bani Hashem”)(ყურეიშის ტომიდან. თვითონ ჰაშიმიტების სახელი ჰაშემისგან მომდინარეობს, რომელიც იყო კუსაის შვილიშვილი, წინასწარმეტყველ მუჰამმადის წინაპარი. ამრიგად, იორდანიის ჰაშიმიტები არიან წინასწარმეტყველ მუჰამმედის უშუალო შთამომავლები. კერძოდ კი, მუჰამმადის ქალიშვილის ფატიმასა და მისი მეუღლის (წინასწარმეტყველის ბიძაშვილის), მეოთხე მალმოდწმუნე ხალიფა, ალის შთამომავლები. ალისა და ფატიმას ჰყავდათ ორი ვაჟი: ალ-ჰასანი და ალ-ჰუსეინი. უფროსი ვაჟის, ალ-ჰასანის უშუალო შთამომავლები ცნობილია როგორც „შარიფები“ (წინასწარმეტყველ მუჰამმადის შთამომავალთა საპატიო წოდებულება). ხოლო ალ-ჰუსეინის შთამომავლებს „სეიდები“ (ტიტული იმათთვის, რომელთაც პრეტენზია აქვთ მუჰამმადის შთამომავლებიდან წარმომავლობისა) ეწოდებათ. იორდანიის სამეფო ოჯახი ჰაშიმიტები შარიფიანთა შტოს წარმომადგენლები არიან, ანუ ალ-ჰასანისაგან მოდიან. შარიფების სხვადასხვა ოჯახი ჰიჯაზის რეგიონს 967-1201 წლე-

ბში განაგებდნენ. მეფე ჰუსაინის (ტრანსიორდანიის ამირა აბდ-ალაჰის მამა) ჰაშიმიტური ოჯახის შტო წმინდა ქალაქ მექას 1201 წლიდან 1925 წლამდე მართავდა. თუმცა 1517 წელს მათ აღიარეს ოსმალეთის სულთნის სუვერენიტეტი (Bickerton, 2017:96).

პირველი მსოფლიო ომის შედეგად ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე ბრიტანეთის მანდატი გავრცელდა. ტრანსიორდანიის საამირო, რომელსაც მხ-ოლოდ 1950 წელს, დასავლეთ სანაპიროსთან შეერთების შემდეგ ეწოდა იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო. ამ მონარქიის დაარსება ბრიტანელებისა და ჰაშიმიტების პოლიტიკური თამაშის შედეგი იყო (NGhedin, 2012: 124).

ტრანსიორდანიის საამიროს შექმნა დაკავშირებულია მექას შარიფ ალ-ჰუსაინ ბინ ალი ალ-ჰაშიმის (არაბ. الحسين بن علي لهاشمي ,1853-1931 წწ) სახელთან. მისი მოღვაწეობის წლები ოსმალეთის იმპერიაში გამოირჩევა სხვადასხვა პოლიტიკური აქტიურობით. ერთ-ერთი იყო არაბულ ტომებთან კავშირების განმტკიცება. ალ-ჰუსაინი 1908 წელს ოსმალეთის სულთანმა აბდულ ჰამიდ II-მ (1876-1909) მექას შარიფად დანიშნა. ამით მან ჰიჯაზში თავისი მმართველობა გააფართოვა. სულიერი ლიდერის გარდა, ალ-ჰუ-საინი აღიარეს არაბთა ტომების მმართველად. 1913 წელს ოსმ-ალეთის დეპუტატთა პალატის 35 წევრმა მექას მმართველ ალ-ჰუსაინს გაუგზავნეს მემორანდუმი, სადაც დეპუტატთა პალატის არაბი დეპუტატების დასტურით ის აღიარეს მექას ემირად. ეს დოკუმენტი წარმოადგენს შარიფ ალ-ჰუსაინის ოფიციალურ აღიარებას მექას ემირად. ეს დოკუმენტი ასევე არის ლიდერობის პირველი აღიარება თანამედროვე არაბთა ისტორიაში (Al-Abb-adi, 2020: 5-6).

პირველი მსოფლიო ომის დროს მექას ემირ ალ-ჰუსაინ ბინ ალის საშუალება მიეცა, არაბული მიწები თურქული მმართვე-ლობისგან გაეთავისუფლებინა ინგლისელებისა და ფრანგების დახმარებით. ალ-ჰუსაინის მიზანი არაბთა დიდი აჯანყების მოწყობა და ერთიანი დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნა იყო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა არაბი ხალხის

უძველეს ტრადიციებსა და კულტურაზე და ისლამური იდეა-ლების სრულყოფილად დაცვაზე (Al-Abbadi, 2020: 9-10).

სერ ჰენრი მაკმაჰონისა და ალ-ჰუსაინის წერილების სერი-იდან (1915-1916 წწ.) ჩანს, რომ ალ-ჰუსაინმა ბრიტანეთისაგან მიიღო დაპირება, ერთიანი დამოუკიდებელი არაბულიი სახელ-მწიფოს შექმნის მხარდაჭერის თაობაზე (Murray, 2018:29). ამან ხელი შეუწყო 1916-1918 წლებში არაბთა დიდ აჯანყებას (Kingdom of Hejaz“ 2021: 23*).* მასში ჩართულები იყვნენ ჰუსეინის ვაჟ-ები: ალი, აბდალაჰი და ფაისალი. აჯანყების დაწყებიდან მალევე, ალ;ჰუსაინმა თავი არაბთა მეფედ გამოაცხადა. თუმცა მის პან-არაბულ მისწრაფებებს მოკავშირეები არ ცნობდნენ და ის მხო-ლოდ ჰიჯაზის მეფედ აღიარეს (1916 წ.). ჰიჯაზის მეფე ალ-ჰუს-აინის (1916-1925) ბრიტანეთთან ურთიერთობა გაუარესდა მას შემდეგ, რაც ებრაელებს პალესტინაში გადასვლის უფლება მიე-ცათ (Kingdom of Heja, 2021:34) .

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთმა მიიღო მან-დატი პალესტინაზე. 1921 წელს მან პალესტინიდან ცალკე გამ-ოყო ავტონომიური ერთეული - ტრანსიორდანიის საამირო (‘იმ-არა შარკ ალ-‘ურდუნ), რომელიც სამართავად გადასცა ამირა აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინს (1921-1946 წწ. ამირა. 1946-1951 წწ. მე-ფე), როელმაც სათავე დაუდო იორდანიის ჰაშიმიანთა დინას-ტიას (Glubb, 1959:148). 1921 წლის 2 მარტს აბდალაჰი ჩავიდა ამა-ნში და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი აკონტროლებდა ამ ტერიტორიას მამის, მეფე ალ-ჰუსაინის სახელით. უინსტონ ჩერჩილი 1921 წლის 28-30 მარტს აბდალაჰთან ერთად მონა-წილეობდა იერუსალიმში გამართულ მოლაპარაკებებში, რომ-ლის დროსაც ინგლისური მხარე გამოვიდა პალესტინაზე და სირიაზე ჰაშიმიანთა პრეტენზიების წინააღმდეგ და შესთავაზა აბდალაჰს, დარჩენილიყო ტრანსიორდანიაში და სათავეში ჩად-გომოდა ახალ სახელმწიფოს.

საბოლოოდ გადაწყდა აღმოსავლეთ სანაპიროზე დაარს-ებულიყო ტრანსიორდანიის სახელმწიფო დედალაქით ამანი. ამ გზით გამოყოფილ ტრანსიორდანიის მიწებს მიენიჭა ცალკე მონ-

არქიის სტატუსი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ: აბდალაჰი აღიარებდა ბრიტანეთის მანდატს ტრანსიორდანიაზე, როგორც პალესტინის მანდატის ნაწილს და შექმნიდა არაბულ მთავრობას. ტრანსიორდანიაში უნდა ჩამოყალიბებულიყო სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინი; ტრანსიორდანიის მთავრობა განახორციელებდა იმ ღონისძიებებს, რაც აუცილებელი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა და ფუნქციონირებისათვის; ამანში დაინიშნებოდა სამანდატო ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც შეინარჩუნებდა კონტროლს ქვეყნის საგარეო და კონცესიურ პოლიტიკაზე, კანონმდებლობაზე, ფინანსებზე, შეიარაღებულ ძალებსა და გადასახადებზე; ტრანსიორდანია არ შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, როგორც ბაზა რაიმე ოპერაციის დროს სირიისა და პალესტინის წინააღმდეგ; ინგლისი შეინარჩუნებდა უფლებას, აეშენებინა ავიაბაზები ამანში, ჰყოლოდა თავისი შეიარაღებული ძალები, შეექმნა და გაეკონტროლებინა ადგილობრივი სამხედრო დაჯგუფებების მოქმედება, გამოეცხადებინა საომარი მდგომარეობა; ბრიტანელებს სამომავლოდ უნდა ეღიარებინათ ტრანსიორდანიის დამოუკიდებლობა (Al-Husseini, 2013: 86-88).

1921 წლის 11 აპრილს ამირა აბდალაჰმა ჩამოაყალიბა ტრანსიორდანიის პირველი მთავრობა - „მრჩეველთა საბჭო“, რომელიც წარმოადგენდა სათათბირო ორგანოს. 1922 წლის 16 სექტემბერს „ერთა ლიგა" დათანხმდა ინგლისის წინადადებას, გამოეყო ტრანსიორდანია პალესტინის მანდატიდან. 15 ოქტომბერს აბდალაჰი ჩავიდა ლონდონში ბრიტანეთთან ხელშეკრულების გასაფორმებლად, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ თავი შეიკავა ტრანსიორდანიასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე. მიზეზი ის იყო, რომ ინგლისის წინააღმდეგ ტრანსიორდანიის მრავალ რაიონში დაიწყო გამოსვლები. არ ცხრებოდა ბედუინთა ტომის მღელვარებები (Mitchell, 2011: 96). ამ ვიზიტს მოჰყვა წერილობითი გარანტია, რომ „ერთა ლიგის" დამტკიცების შემთხვევაში ბრიტანეთის მთავრობა აღიარებს დამოუკიდებელი მთავრობის არსებობას ტრანსიორდანიაში მისი უმაღლესობის ამირ აბდალაჰ იბნ

ალ-ჰუსაინის მმართველობის ქვეშ, იმ პირობით, რომ მთავრობა იქნება კონსტიტუციური და დაემორჩილება ბრიტანეთის უდიდებულესობის მთავრობას (Murray, 2018: 37-40). ამის შემდეგ ტრანსიორდანიის შექმნა გაფორმდა ცალკე დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად.

პალესტინის უმაღლესმა კომისარმა სერ ჰერბერტ სემუელმა 1923 წლის 25 აპრილს გამოაცხადა ტრანსიორდანიის დამოუკიდებლობა. სამანდატო პირობებიდან გამომდინარე, უნდა მიეღოთ კონსტიტუცია. ამავე წლის 25 მაისს ბრიტანელებმა ოფიციალურად აღიარეს ტრანსიორდანიის დამოუკიდებლობა ამირა აბდალაჰის მმართველობის ქვეშ, მაგრამ ფინანსური, სამხედრო და საგარეო საქმეთა საკითხები რჩებოდა ბრიტანელების ხელში. 1928 წლის 19 აპრილს ტრანსიორდანიის მთავრობამ გამოაქვეყნა პირველი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მეთაური ამირა იყო, რომელსაც უფლება ჰქონდა მიეღო და დაემტკიცებინა კანონები, ესარგებლა „საკანონმდებლო საბჭოს" მოწვევისა და დათხოვნის უფლებით და ა.შ. (Murray, 2018: 175).

ინგლისი ყურადღებას ტრანსიორდანიაში მხოლოდ თავის სტრატეგიულ ინტერესებს უთმობდა. მათ ჩამოაყალიბეს „არაბული ლეგიონი" ბედუინებისგან. ქვეყანა ცხოვრობდა ინგლისური სუბსიდიების ხარჯზე, რაც „არაბული ლეგიონის" შესანახად იყო გამოყოფილი. ბიუჯეტის დეფიციტის გამო ბრიტანეთი ფინანსურად ეხმარებოდა ქცეყანას, რაც მის ინგლისზე დამოკიდებულებას ზრდიდა. ინგლისელთა ინტერესების გათვალისწინებით ხდებოდა მეზობელ არაბულ სახელმწიფოებთან ტრანსიორდანიის პოლიტიკის დაგეგმვა (Schenker, 2015: 116).

1946 წლის 25 მაისს ტრანსიორდანია დამოუკიდებელ სამეფოდ იქცა, ამირა აბდალაჰმა თავი მეფედ გამოაცხადა. გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუცია. 1949 წელს სახელმწიფოს სახელი შეიცვალა და ის გახდა იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო. თუმცა ქვეყანაში ინგლისის ჯარები მაინც დარჩა და ის კიდევ 25 წლის განმავლობაში დომინირებდა ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრე-

ბაში. ინგლისმა იორდანიაში შექმნა და გაწვრთნა რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ არმია, „არაბული ლეგიონს", რომელსაც ჯონ ბაგოთ გლაბი მეთაურობდა (Amadouny, 1993: 253). მეფე აბდალაჰის მნიშვნელოვან ძალას სწორედ ეს „არაბული ლეგიონი“ წარმოადგენდა. ის ტრანსიორდანიაში ბრიტანეთის იმპერიული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა და ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური არმია. ის აერთიანებდა საპოლიციო და სამხედრო ძალებს. იგი არ იყო ერთადერთი უსაფრთხოების ძალა ქვეყანაში. ბრიტანელებმა ასევე შექმნეს ტრანსიორდანიის სასაზღვრო ძალები (TJFF), რომელიც იყო იმპერიული ძალა ბრიტანეთის უშუალო მეთაურობით მის დაშლამდე (1948 წ.). სასაზღვრო ძალების ვალდებულება იყო სასაზღვრო წესრიგის დაცვა, რაც მან ვერ შეძლო.

„არაბული ლეგიონი" ძირითადად ბედუინებისაგან შედგებოდა. ჯონ გლაბი (იორდანიელების მიერ ცნობილი როგორც გლაბ ფაშა), ამტკიცებდა, რომ ბედუინი მეომრების ტრადიცია მათ ბუნებრივ ჯარი)სკაცებად აქცევდა (Bradshaw, 2016: 32-33). ამით მოხდა ბედუინი ტომების სახელმწიფოში ინტეგრაცია, რამაც ამ ტომების ტრადიციული სამხედრო როლი თავდასხმიდან ორგანიზებულ და დისციპლინირებულ საბრძოლო ძალად გარდაქმნა. თანდათანობით „არაბული ლეგიონი" კვალიფიციურ საბრძოლო ძალად იქცა, რომელიც გახდა მმიშვნელოვანი იარაღი ამირა აბდალაჰის საგარეო პოლიტიკაში (Bradshaw, 2016: 33-34).

ჯონ ბაგოთ გლაბმა (John Bagot Glubb) ხელმძღვანელობდა და წვრთნიდა ტრანსიორდანიის „არაბულ ლეგიონს" 1939-1956 წლებში (მის გარდაცვალებამდე) (Wroblewski, 2018: 31). ტრანსიორდანიაში ჯ. გლაბის მიერ შექმნილი „არაბული ლეგიონი" მსუბუქად შეიარაღებული პოლიცია იყო. მაგრამ ეს მდგომარეობა მალე შეიცვალა. 30-იანი წლების ბოლოს პალესტინაში კონფლიქტი დაიწყო, რომელიც გადაიზარდა არაბთა აჯანყებაში. აღმოჩნდა, რომ „არაბული ლეგიონი" ძალიან სუსტი იყო იმისთვის, რომ არაბი პარტიზანების გადასცლა სირიიდან პალესტინაში აღეკვეთა. ჯ. გლაბმა ამით ისარგებლა და დაარწმუნა

ბრიტანელი პოლიტიკოსები, რომ „არაბული ლეგიონის' გაძლიერება საჭირო იყო უდაბნოში ბრძოლებისათვის. ბრიტანეთის ადმინისტრაციისგან ამაზე თანხმობის მიღების შემდეგ, ჯ. გლაბმა „არაბული ლეგიონი" გააძლიერა (Glubb, 1959:138-242).

1946 წლის 22 მარტს დიდ ბრიტანეთისა და ტრანსიორდანიის მიერ ხელმოწერილი მოკავშირეობის ხელშეკრულების შემდეგ ტრანსიორდანია დამოუკიდებელი გახდა de-yure-დ. ამირა აბდალაჰი კი მეფედ გამოცხადდა. ამ ხელშეკრულებამ ბრიტანელებს ტრანსიორდანიაში ბევრი პრივილეგია დაუტოვა, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში (History of Western; 253).

იორდანიის ჰაშიმიტთა სამეფო, როგორც სხვა არაბული სახელმწიფოები, ისრაელის მოწინააღმდეგე იყო მისი ახლო აღმოსავლეთის მიწაზე გამოჩენის დღიდან (1948 წ. 14 მაისი). 1948 წლის აპრილში იორდანიის მეფე აბდალაჰ I-მა ასე განაცხადა: „ჩვენი მცდელობა, პალესტინის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ მარცხით დამთავრდა, ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ომის გზა" (Jordan–Palestine :198).

საომარი მოქმედებები, რომელიც ისრაელის გასანადგურებლად დაიწყო და ისრაელისვე გამარჯვებით დასრულდა, 1949 წლის 7 იანვარს გაეროს დაჟინებული მოთხოვნით შეწყდა. მეფე აბდალაჰი ისრაელთან ომის დაწყების ერთ-ერთი მოთავე იყო, მაგრამ მის მიერ პალესტინის ნაწილის დაკავების შემდეგ, ის ისრაელთან გარიგებაზე წავიდა, რადგანაც პალესტინის გაყოფის შესახებ გარიგებები იორდანიასა და ისრაელს შორის ომის დაწყებამდეც მიმდინარეობდა (International, 2015: 169).

იორდანიის სახელმწიფო წყობილება ეფუძნება 1952 წლის 8 იანვარს გამოქვეყნებულ კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც იორდანია არის კონსტიტუციური, მემკვიდრეობითი მონარქია მმართველობის საპარლამენტო ფორმით. მეფე თავის ძალაუფლებას ახორციელებს მის მიერ დანიშნული მთავრობის მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. პარლამენტი ორ პალატიანია: სენატი და წარმომადგენელთა პალატა. სენატს მთლიანად მეფე ნიშნავს (65 წევრი), ხოლო წარმომადგე-

ნელთა პალატას 130 არჩეული წევრი. მასში ადგილი განკუთვნილია ქრისტიანებისათვის, ჩეჩენი და ჩერქეზი უმცირესობებისათვის და ადგილი ქალებისათვის. ორივე პალატის წევრები ოთხი წლის ვადით აირჩევიან. იორდანიის კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის ფუნდამენტურ კანონს, მისი XV მუხლში ნათქვამია: „სახელმწიფო უზრუნველყოფს აზრის თავისუფლების გარანტიას. ყოველმა იორდანელმა თავისუფლად უნდა გამოხატოს თავისი აზრი სიტყვით, წერილობით და გამოხატვის სხვა ფორმებით" (The Constitution, 1969: 97).

ძალაუფლება იყოფა ხელისუფლების სამ შტოს შორის, მაგრამ მონარქი ინარჩუნებს ხელისუფლების ფაქტობრივი ძალაუფლების დიდ ნაწილს. მემკვიდრეობითი მონარქიულობის მიუხედავად, მეფეს აქვს უფლება, დანიშნოს საკუთარი მემკვიდრე ოჯახის მამრობითი სქესის წევრებიდან. მეფის გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით. მეფის მოვალეობები მოიცავს კანონებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირებას, ომისა და მშვიდობის გამოცხადებას, სამხედრო წოდებებისა და ღირსების შექმნასა და მინიჭებას, ასევე შეწყალებას. შეუძლია დანიშნოს არჩევნები, მოიწვიოს და დახუროს საკანონმდებლო სხდომები და დაითხოვოს საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატა. მეფეს აქვს უფლება დანიშნოს და გაათავისუფლოს პრემიერ-მინისტრი და სენატის წევრები. მეფის მიერ პრემიერ-მინისტრის გადაყენების შემგხვევაში ყველა მინისტრი თანამდებობიდან მოიხსნება. ამ კონსტიტუციით ისლამი გახდა სახელმწიფო რელიგია, ხოლო არაბული, სახელმწიფო ენა. კონსტიტუცია აღიარებს რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს (Constitutional,2020: 99).

რაც შეეხება განათლებას, მოსახლეობის ნახევარზე მეტს მიღებული აქვს საშუალო ან უმაღლესი განათლება (The United, 2019: 98). იორდანიის უძველესი უმაღლესი სასწავლებლებია,: იორდანიის უნივერსიტეტი (1962), იარმუკის (Yarmūk) უნივერსიტეტი (1976) და მუითას (Muʾtah) უნივერსიტეტი (1981). არის

ბევრი ახალი უნივერსიტეტი და სხვადასხვა სასწავლებლებლები და კოლეჯები (Kamel, 2012: 75).

გაეროს 2023 წლის ივნისის მონაცემებით იორდანიის ამჟამინდელი მოსახლეობა არის 10,500,735 ადამიანი. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 95%-ს მუსლიმია. ამათგან 93% სუნიტები არიან და მცირე ნაწილს შეადგენენ შიიტები. ქრისტიანები კი მოსახლეობის 3%-ია (Religious, 2021: 176).

აბდალაჰ I-ის შემდეგ, 1951 წელს იორდანიის მეფე გახდა მისი შვილი ტალალ ბინ აბდალაჰი (1951-1952). ტალალის მიღწევა სამეფოს ისტორიაში იორდანიის თანამედროვე კონსტიტუციის მიღება იყო, რომლის მიხედვითაც სამეფო კონსტიტუციურ მონარქიად გადაიქცა (ამ კონსტიტუციის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ). მან ტახტზე მხოლოდ 11 თვე დაჰყო. მეფე ტალალის ფსიქიკური მდგომარეობის გამო პარლამენტმა ის ტახტიდან გადააყენა (Satloff, 1994: 42). სამეფო ტახტი მემკვიდრეობით გადაეცა მისმა უფროსმა ვაჟმა ჰუსაინ ბინ ტალალი (1952-1999).

ჰუსაინ ბინ ტალალმა დაიწყო ახალი ეტაპი იორდანიის თანამედროვე ისტორიაში, რომელიც გაგრძელდა ორმოცდაშვიდი წელი. მისი ლოზუნგი ოყო; „მოდით ავაშენოთ ეს ქვეყანა და ვემსახუროთ ამ ერს" (الملك ; 54). მეფე ჰუსაინ ბინ ტალალი თანამედროვე იორდანიის მამა, იყო ლიდერი, რომელმაც მიზნად დაიდახა, იორდანია გამხდარიყო მშვიდობის და სტაბილურობის ოაზისი ახლო აღმოსავლეთში. იორდანიელების ხსოვნაში ის დარჩა როგორც შთაგონება ღიაობის, შემწყნარებლობისა და თანაგრძნობისა. თავის ხალხში ჰუსაინ ბინ ტალალი ცნობილი იყო, როგორც „ჰუმანური მეფე" (King Hussein, 2018:215).

იორდანია მოქცეულია მასზე ძლიერ მეზობლებს შორის (სირია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ერაყი და ისრაელი), მაგრამ თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში შეძლო უზრუნველეყო იორდანიის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს და ასევე ჰაშიმიტების დინასტიის გაძლიერება. მან მემკვიდრეობით მიიღო 1948-49 წლების ისრაელ არაბული ქვეყნების ომის შედ-

ეგად შემოერთებული დასავლეთ სანაპირო. ჰაშიმიტების მიზანი ყოველთვის აღემატებოდა იორდანიის დაწესებულ საზღვრებს. ეს კარგად ჩანს მეფე ჰუსაინის სიტყვებიდან, იორდანიას უნდა ჰქონოდა „უფრო დიდი მომავალი, ვიდრე რამდენიმე ათასი კვადრატული მილი ქვიშაა“ (Al-Shari , 2016: 271).

ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით სიღარიბეს ემატებოდა 1948-1949 წლების ომის შედეგად პალესტინელ ლტოლვილთა დიდ რაოდენობა. პალესტინელი ფედაინები იორდანიის მიერ კონტროლირებად პალესტინის ტერიტორიას იყენებდნენ ისრაელის წინააღმდეგ თავდასხმების განსახორციელებლად, რაც ზოგჯერ იორდანიის მოქალაქეების წინააღმდეგ ისრაელის თავდაცვის ძალების შურისძიებას იწვევდა (; الحسين218).

პირველივე დღეებიდან, როდესაც შეუდგა თავისი მოვალეობების შესრულებას, ახალგაზრდა მეფე ჰუსაინმა სწრაფად გაითავისა იორდანიის სახელმწიფოს მშენებლობის წინაშე მდგარი გამოწვევები. მან გააცნობიერა, რომ პატარა, დაუცველი, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანა არასტაბილურ რეგიონში, დიდი ძალების მეტოქეობის მორევში, შეიძლება გადარჩეს და განვითარდეს საკუთარი ადამიანური რესურსების განვითარებით და ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებით. მან იორდანიელი მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად მაქსიმალურად განავითარა განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა. 1950-60-იან წლებში წამოიწყო ისეთი პროექტები, როგორიცაა აკაბას პორტის, ფოსფატის, კალიუმისა და ცემენტის საბადოების განვითარება და წარმოება. დაიწყო მთელ სამეფოში მაგისტრალების ქსელის მშენებლობა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ინდუსტრიის გაფართოება და ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა (King Husseni, 2020: 213).

ის დიდ ყურადღებას აქცევდა ისლამის წმინდა ადგილებს, ზრუნავდა და იცავდა მათ. მეფის რწმენით, კულტურასა და რელიგიას სჭირდებოდა ღრმა ურთიერთკავშირი. ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ იორდანიის მოქალაქეები - მუსლიმები და ქრისტიანები - არიან ძმები ღვთის თაყვანისცემითა და თან-

აბარი მოქალაქეობრივი უფლებებით, მოვალეობებითა და არსებობით ერთ იორდანიულ ოჯახს და არაბულ ერს მიკუთვნებიან. მეფე ჰუსეინმა 1980 წელს ისლამური აზროვნების ინსტიტუტის დაარსებით ხელი შეუწყო ისლამურ-ქრისტიანული იდეების დაახლოებას. ასევე, 1994 წელს ამანში დააარსდა რელიგიათაშორისი კვლევების სამეფო ინსტიტუტი, რომელმაც ხელი შეუწყო სხვადასხვა რელიგიებს შორის თანამშრომლობასა და ურთიერთობების განმტკიცებას („..الملك الحسين بن ; 145).

მეფე ჰუსაინს ყოველთვის სჯეროდა, რომ იორდანიელი ხალხი მისი ყველაზე დიდი ქონებაა და მთელი თავისი მეფობის განმავლობაში ის მოუწოდებდა განურჩევლად ყველას, მიეღწიათ მეტი საკუთარი თავისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის („King Hussein I, Biography” : 165).

ჰუსაინ ბინ ტალალის დროს ქვეყნის განვითარებას აფერხებდა რეგიონალი კონფლიქტები და მეტოქეება. რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად ის ცდილობდა ყველანაირი შესაძლებლობის გამოყენებას. 1967 წლის „ექვს დღიანი" ომის შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციის შემუშავებაში, რომელიც მოუწოდებდა ისრაელს, მშვიდობის სანაცვლოდ გასულიყო 1967 წელს ოკუპირებული არაბული ქვეყნებიდან. ჰუსაინმა ყველა ფორუმზე პალესტინის საკითხისადმი ყურადღება მოითხოვა. 1973 წელს მონაწილეობა მიიღო ჟენევის სამშვიდობო კონფერენციაში. 1984 წელს მოხდა იორდანია-პალესტინის პრინციპების შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც ცნობილია როგორც „11 თებერვლის შეთანხმება"; მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1991 წლის მადრიდის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევაში. 1994 წლის იორდანიასა და ისრაელს შორის მიღწეული სამშვიდობო ხელშეკრულება იყო მთავარი ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი და ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად (Jordan–Palestine relations, 1999: 242-245).

მეფე ჰუსაინი მუშაობდა ასევე არაბულ სახელმწიფოებს შორის პრობლემების მოგვარებაში. მათ შორის იყო 1990-1991

წლებში სპარსეთის ყურის კრიზისი და ქუვეითის სუვერენიტ-ეტის აღდგენა. მან ასევე შუამავალის როლი შეასრულა იემენის სამოქალაქო ომში (გასული საუკუნის 60-იანი წწ.). თითქმის ყველა გამოსვლასა თუ ფორუმში ის მოუწოდებდა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების აუცილებლობაში ერაყის, პალესტინისა და სხვა არაბული ქვეყნებისათვის ამ ქვეყნების მცხოვრებლების მძიმე სოციალური პირობების შესამსუბუქებლად. ის ხშირად გზავნიდა იორდანიელ ექსპერტებს საზღვარგარეთ სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მისაღებად. მეფე ჰუსაინის ასეთმა მიდგომამ ხელი შეუწყო იორდანიის განვითარების ზრდას ეკონომიკის, განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში (King Hussein Foundation, 2020: 95).

დემოკრატიის, სამოქალაქო თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისადმი მეფე ჰუსაინის ერთგულებამ ხელი შეუწყო იორდანიის გადაქცევას რეგიონის სანიმუშო სახელმწიფოდ. 1990 წელს მეფე ჰუსეინის მიერ დანიშნულმა სამეფო კომისიამ შეიმუშავა იორდანიის „ეროვნული ქარტია". დღეს ეს „ეროვნული ქარტია" ამ ქვეყნის კონსტიტუციასთან ერთად წარმოადგენს გზამკვლევს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუციონალიზაციასა და პოლიტიკური პლურალიზმიაათვის. 1989, 1993 და 1997 წლებში იორდანიაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებულ იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რაც კი ოდესმე ჩატარებულა ახლო აღმოსავლეთში (King Hussein I, Biography: 188).

არა ერთხელ სცადეს მეფე ჰუსაინის ლიკვიდაცია და სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ უშედეგოდ. ის გარდაიცვალა 1999 წლის 7 თებერვალს. მუსლიმებისთვის გარდაცვლი ჰუსაინი მხოლოდ მეფე არ ყოფილა. ის იყო წინასწარმეტყველ მუჰამმადის 50-ე თაობის პირდაპირი შთამომავალი (King Hussein I, Biography: 197*).* სამეფოს ტახტი მემკვიდრეობით გადაეცა მის ვაჟს, აბდალაჰ ბინ ჰუსაინს.

მეფე აბდალაჰ II-მ (1999 წლიდან, დღემდე) შეინარჩუნა მამის ზომიერი პროდასავლური პოლიტიკა. მისი მეფობის პირველ ათწლეულში ქვეყანაში გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები. გამომდინარე იქედან, რომ იორდანიის 80%-ს უდაბნო შეადგენს, რეგიონში იგი ეკინომიკური შესაძლებლობით არც ისე ძლიერია. მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით არასაკმარისი ბუნებრივი რესურსები სამეფოში სახელმწიფო ვალების, უმუშევრობისა და სიღარიბის მიზეზი გახდა, რამაც გამოიწვია სპარსეთის ყურის რეგიონში მისი დასავლელი და არაბული მოკავშირეების საგარეო დახმარებაზე დამოკიდებულება (Abdullah II:52).

აბდალაჰ II-მ წამოიწყო ეკონომიკური ლიბერალიზაციის აგრესიული პროგრამა, რაც გახდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, საჯარო და კერძო პარტნიორობის, აკაბას სპეციალური ეკონომიკური ზონის, ქვეყნის მზარდი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორების გაუმჯობესების საფუძველი (King Abdullah II:27).

ამ რეფორმების შედეგად იორდანიის ეკონომიკური ზრდა გაორმაგდა. გაიზარდა დასავლეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების უცხოური ინვესტიციებიც (Abdullah II : 63). იორდანიის ეკონომიკა დამოკიდებული იყო ერაყის სუბსიდირებულ ნავთობზე (Burns, 2003: 241). 2003 წელს ერაყში ამერიკის შეჭრამ ერაყიდან შეაჩერა ნავთობის მიწოდება, ამიტომ იორდანიამ გაზის იმპორტი დაიწყო ეგვიპტიდან. არაბული გაზაფხულის საპროტესტო ტალღა გავრცელდა სინაიშიც, სადაც გადიოდა ეგვიპტესა და იორდანიას შორის ბუნებრივი აირის მილსადენი (Kirk H. 2016: 98). 2011 წლიდან ISIS-ის მიერ მილსადენზე თავდასხმების განხორციელების გამო, 2014 წელს იგი დაიხურა (Osama Al Sharif, 2916: 86). ამან აიძულა ამანი, შეეძინა ძვირადღირებული ნედლი ნავთობი ღია ბაზარზე. ომებმა ერაყსა და სირიაში შეზღუდა იორდანიის ექსპორტიც. იმავდროულად, თითქმის მილიონი სირიელი ლტოლვილის ჩასვლამ იორდანიაში გაზარდა უძრავი

ქონების ფასები და გაამკაცრა სამუშაო ბაზარი (Schenker, 2015: 79).

2018 წლის მაისსა და ივნისში ამანი დემონსტრაციებმა მოიცვა, სადაც აპროტესტებდნენ გადასახადების გაზრდას და სასაქონლო სუბსიდიების შემცირებას. მომიტინგეების დასაშშმინებლად და ეკონომიკური პრობლემის დროებითი შესანელებლად მეფე აბდალაჰ II-მ საუდის არაბეთის და მისი მოკავშირეებისგან საგარეო დახმარება მიიღო. რეგიონულმა არასტაბილურობამ იორდანიაში მნიშვნელოვნად შეაფერხა ტურიზმიც. ამამ აიძულა მეფე აბდალაჰ II, მოეთხოვა მთავრობისთვის ჩამოეყალიბებინა ათწლიანი (2015-2025 წწ.) გეგმა (Schenker, 2015: 99).

იორდანიამ გააკეთა სტრატეგიული არჩევანი გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობის გზით და მიიღო ეკონომიკური ლიბერალიზაციის პრინციპები, რათა სამეფო გამხდარიყო ეფექტური კონკურენციის ნაწილი გლობალურ ეკონომიკაში. შედეგად, განხორციელდა ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები, ხელი მოეწერა მნიშვნელოვან ეკონომიკურ შეთანხმებებს არაბულ და საერთაშორისო დონეზე (عبد الله ; ,الملك132-135).

იორდანია არის გაეროს (გაეროს შეუერთდა 1955 წლის 14 დეკემბერს) და რამდენიმე ორგანიზაციის აქტიური წევრი. მათ შორისაა: არაბული ქვეყნების ლიგა; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია; მსოფლიო ბანკი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია; სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო (Foreign relations of Jordan: 213).

მეფე აბდალაჰ II-მ დაარსა „მეფე აბდალაჰის დიზაინისა და განვითარების ცენტრი“ (King Abdullah Design and Development Bureau - KADDB), რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი წარმოების იარაღის, სამეცნიერო და ტექნიკური სერვისების მიწოდებას იორდანიის შეიარაღებული ძალებისთვის. გაზარდა საბრძოლო თვითმფრინავის საჰაერო ფლოტის რაოდენობა. ააშენა

სამეფო საზღვაო ძალების ახალი ბაზა, დააარსა საჰაერო ძალების კოლეჯი, ჩამოაყალიბა საზღვაო ბატალიონი, და სხვა (Abdullah II of Jordan: 86-88).

რთული ვითარების მიუხედავად, იორდანიის ეკონომიკურმა ზრდამ მოლოდინს გადააჭარბა. აღდგა საერთაშორისო ტურიზმი და ექსპორტი გაუმჯობესდა. თუმცა კვლავ რჩება გარკვეული პრობლემები (Jordan Economic, 2022: 232-235).

იორდანია მუდმივად ცდილობდა მშვიდობისა და ზომიერი პოლიტიკური კურსის გატარებას ახლო აღმოსავლეთში არასტაბილურობის ფონზე. ამას ადასტურებს გამონათქვამი „იორდანია არის წყნარი სახლი მშფოთვარე რეგიონში“ („ابن الحسين عبد الله الثاني; الملك198). იორხანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პალესტინის საკითხი. იირდანია არის რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდამჭერი. მას არ უთქვამს უარი თავის მოვალეობაზე არაბული რეგიონის, განსაკუთრებით იმ ქვეყნების საკითხების მიმართ, რომლებიც კრიტიკულ სიტუაციებში იმყოფებიან (მაგ; სირია, ერაყი, იემენი, ლიბია და ლიბანი). ასევე მეფე აბდალაჰ ბინ ჰუსაინმა შეინარჩუნა იორდანიის ღიაობა მეზობლებისა და მეგობრების მიმართ და სათავეში ჩაუდგა მოწოდებას ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მტკიცედ მხარდაჭერის აუცილებლობაზე. 1999 წლიდან იორდანიამ ხელი მოაწერა მრავალ ხელშეკრულებას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო დონეზე კონფლიქტების მოგვარებაში და აქტიურად მონაწილეობს გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში (عبد الله الثاني ابن الحسين الملك;197).

მეფე აბდალაჰ II დაქორწინებულია რანია ალ-იასინზე, რომელიც არის ქუვეითში მცხოვრები პალესტინური ოჯახიდან (The Royal Family, 2021: 76). საერთაშორისო დონეზე დედოფალი რანია არის ტოლერანტობის, თანაგრძნობის და ყველა კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლის ადამიანების თანამგრძნობი და ხელშემწყობი. ის მუშაობდა გაეროს გოგონების გან-

ათლების ინიციატივის გლობალურ საპატიო თავმჯდომარედ და მხარს უჭერდა განათლების ხელმისაწვდომობას საერთაშორისო ფორუმებსა და შეკრებებზე. მან მონაწილეობა მიიღო მრავალ საერთაშორისო ღონისძიებაში, მათ შორის 2016 წლის გაეროს სამიტზე ლტოლვილებისა და მიგრანტების შესახებ და ეწვია ლტოლვილთა ბანაკებს იორდანიაში, საბერძნეთსა და ბანგლადეშში (Her Majesty Queen Rania Al Abdullah, 2023: 75-79).

2002 წლის ნოემბერში მეფე აბდალაჰ II-ის ინიციატივით გაჩნდა სლოგანი; „იორდანია უპირველეს ყოვლისა“. ეს სლოგანი ხაზს უსვამს იორდანიის ინტერესის უპირატესობას. სამართლიანობის კონცეფციების განმტკიცებასა და თანასწორობას (جلالة الملك ; رسالة174). ამ სლოგანის მთავარი არსი არის ის, რომ იორდანია უარს ამბობს პანარაბიზმზე და თავისი ქვეყნის ინტერესს აყენებდა პირველ ადგილზე (المملكة الأردنية الهاشمية ; شعار154)

იორდანია დიდი ხანია, უამრავ ლტოლვილს იღებს. მწვავე და დღემდე გადაუჭრელ საკითხად რჩება პალესტინელი არაბი ლტოლვილების დროებითი განსახლება და საბოლოოდ მათი სამშობლოში დაბრუნება. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ ტრანსიორდანიის საამიროს სახელით იყო ცნობილი, ჩერქეზები, ჩეჩნები, ასურელები და სომხები ეძებდნენ თავშესაფარს ამ მხარეში. დრითა განნავლობაში ისინი ინტეგრირდნენ იორდანიის საზოგადოებაში(International Labour, 2015: 14).

არაბ-ისრაელის ომების შედეგად იორდანიის სამეფომ მიიღო ასეულობით ათასი პალესტინელი ლტოლვილი. 1949 წლის დაზავების შემდეგ პალესტინელი არაბის ნაწილი გაიქცა უკვე ეგვიპტის კონტროლქვეშ მყოფ ღაზას რეგიონში (საჯუთრივ ეგვიპტეში ლტოლვილები მცირე რაოდენობით მიიღეს) ან ტრანსიორდანიის მიერ ანექსირებულ „დასავლეთ ნაპირსა“ და აღმოსავლეთ იერუსალიმში (The Danish, 2020: 75-88). ასევე ლიბანში, სირიასა და იორდანიაში (History of Western:99-102). ამაგან იორდანიამ მიიღო ყველაზე მეტი პალესტინელი ლტოლვილი (Dab-

ash, 2022:176). ეს ქვეგანა მასპინძლობს 2 მილიონზე მეტ პალესტინელ ლტოლვილს.

სხვა არაბული ქვეყნებისაგან განსხვავებით, იორდანიამ მიანიჭა სრული მოქალაქეობა ყველა პალესტინელს, ვინც გადავიდა 1948 წლის არაბეთ-ისრაელის პირველი ომის შემდეგ და ასევე მათ, ვინც ჩავიდა დასავლეთ სანაპიროდან 1967 წლის ექვს დღიანი ომის შემდეგ. პალესტინელი წარმოშობის მოქალაქეები ახლა იორდანიის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ და სარგებლობენ იგივე უფლებებითა და მოვალეობებით, როგორც აღმოსავლეთ სანაპიროს წარმოშობით იორდანიელები და ინარჩუნებენ ლტოლვილის სტატუსს და შესაბამისად, პალესტინაში დაბრუნების უფლებას (The Danish, 2020: 187).

სირიის სამოქალაქო ომამდე იორდანიამ მიიღო ასევე ერაყელი ლტოლვილების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ბევრი მათგანი დღესაც ამ ქვეყანაშია. ერაყელები იორდანიაში ჩავიდნენ სხვადასხვა დროს. პირველი ერაყელი ლტოლვილები იქ ჩსვიდნენ 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ (European Resettlement,2007:244). მეორე ტალღა იყო 2003 წ. ერაყში აშშ-ს შეჭრისა და სადამ ჰუსეინის (1979-2003) რეჟიმის დამხობის შემდეგ. შემდეგი 2006 წელს სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირების შედეგად მოხდა. გადასახლება მოხდა 2014 წელსაც, როდესაც ათასობით ერაყელი ქრისტიანი გაიქცა ქვეყნიდან ISIS-ის ქცეყანაში შესვლის შედეგად (Caritas Jordan, 2020: 153-156).

2016 წელს იორდანიის მთავრობამ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა იორდანიაში ლტოლვილთა ნაკადის ჩაბმას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საქმეში. 2018 წელს იორდანიის ჯანდაცვის სისტემის დასახმარებლად შეიქმნა დონორთა ანგარიშები, რომელიც გამოიყენება ლტოლვილთა ჯანმრთელობის დაცვის სუბსიდირებისთვის (Caritas Jordan, 2020:147-152).

ცუდი მდგომარეობა შეიქმნა იორდანიის პალესტინელთა ბანაკებში. იქ ადვილად ვრცელდებოდა რადიკალური შეხედულებები, რამაც ტერორიზმისა და ისლამური ფუნდამენტალი-

ზმის აღმოცენებას შეუწყო ხელი. პალესტინელ ექსტრემისტთა ჯგუფებმა იორდანიის პოლიტიკურ სტაბილურობას შეუქმნეს საფრთხე; 1951 წელს მეფე აბდალაჰი I იერუსალიმში პალესტინელმა შეიარაღებულმა მამაკაცმა მოკლა. თუმცა მისმა მემკვიდრემ მეფე ჰუსეინ I-მა განაგრძო პალესტინელების ინტეგრაცია იორდანიაში. 1954 წლის ცვლილება მოქალაქეობის შესახებ კანონში ადგენდა, რომ მოქალაქეობა მიენიჭებოდა ნებისმიერ პალესტინელს, რომელიც ცხოვრობდა იორდანიაში 1949-1954 წლებში (Bauer, 2022:190-194).

1964 წელს დააარსდა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია „პგო“ (PLO). 1965-1967 წლებში იასერ არაფატის (პგო-ს თავმჯდომარე 1969-2004 წწ) ჯგუფი მეზობელი არაბული ქვეყნებიდან ისრაელში პარტიზანული თავდასხმების განხორციელებას ახდენდა. ეს იმდენად პოპულარული აღმოჩნდა პალესტინელებში, რომ „პგო“-ში (PLO) შემავალმა ჯგუფებმა დაიწყეს სამხედრო აქტივობების ორგანიზება, ამის გამო ის რეგიონში პოპულარული გახდა.

მეფე ჰუსაინს თავისი ინტერესების გამო ისრაელთან მშვიდობა უნდა შეენარჩუნებინა აქტიური და მზარდი რადიკალიზებული პალესტინელი მოსახლეობის ფონზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ იორდანიის სტაბილურობას (Pierre, 2009: 96 - 100). 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ იორდანიამ დაკარგა დასავლეთ სანაპირო, რის შედეგადაც იორდანიის იურისდიქციის ქვეშ დარჩა მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირით, რითაც იგი დაუბრუნდა 1948 წლამდე საზღვრებს (Al Husseini, 2013: 230-245).

1970 წლის სექტემბრის იორდანიის სამოქალაქო ომი, ცნობილი როგორც „შავი სექტემბერი“, იყო „პგო“-სა (PLO) და რადიკალური პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის (PFLP) მცდელობა, დაემხოთ იორდანიის მეფე ჰუსაინი და ხელში აეღოთ ქვეყნაზე კონტროლი. 17 სექტემბერს მეფე ჰუსეინმა უბრძანა თავის არმიას, გაედევნა პალესტინელი მებრძოლები იორდანიიდან (AFP, 2020: 99-104). შეტაკებები გაგრძელდა ჩრდ-

ილოეთ იორდანიის ქალაქებში. ბრძილაში პალესტინელების მხარეს სირია ჩაერთო, რითაც იორდანიის არმია აიძულა, ორ ფრონტზე ებრძოლა. 1970 წლის 25 სექტემბერს კაიროში ჰუსაინმა და „პგო“-მ (PLO) არაბული ქვეყნების შუამავლობით ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. 1971 წელს იასირ არაფატი და „პგო“ (PLO) გააძევეს იორდანიიდან, რის შემდეგაც თავი შეაფარეს ლიბანს (Pierre,2009:188). 1974 წელს იორდანიაზე გარე ზეწოლა განხორციელდა. სუდანის დედაქალაქ რაბატში არაბული ქვეყნების შეხვედრის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით იორდანიას უნდა ეღიარებინა „პგო“ (PLO), როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთი, ლეგიტიმური წარმომადგენელი და მხარი დაეჭირა დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში(Aruri, 1985: 131).

1970-71 წლების სამოქალაქო ომის შედეგად დაძაბული ურთიერთობების დასაბალანსებლად რაბატის სამიტის შემდეგ ჰუსაინი და იასირ არაფათი შეხვდნენ ერთმანეთს. 1975 წლის დასაწყისში მათი დისკუსიების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ იორდანიამ და „პგო“-მ (PLO) შეწყვიტონ ურთიერთბრალდებები (U.S. 2003: 75). 1977 წლის მარტში ჰუსაინი და არაფატი ერთმანეთს კაიროში შეხვდნენ, რათა მომზადებულიყვნენ ჟენევის მომავალი სამშვიდობო კონფერენციისთვის. ჰუსაინ-არაფატის შემდეგი კონტაქტები შედგა მომდევნო წელს (U.S. 2003: 77).

1982 წელს „პგო“- (PLO) გაძევეს ლიბანიდან, რის შემდეგაც მეცე ჰუსაინი დათანხმდა განდევნილ მებრძოლთა მცირე კონტიგენტის მიღებას და 1970-71 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ, პირველად დართო ნება „პგო“-ს (PLO) პოლიტიკური ოფისები გაეხსნათ. მიუხედავად ამისა, არაფატი და ჰუსაინი ვერ შეთანხმდნენ საერთო სტრატეგიაზე. შესაბამისად, იორდანიის ურთიერთობა PLO-სთან დაიძაბა (U.S. 2003: 83). ჰუსაინმა და არაფატმა თანამშრომლობა კვლავ განაახლეს და 1985 წელს გამოაცხადეს ერთობლივი, იორდანია-პალესტინის შეთანხმება მშვიდ-

ობის შეახებ. ეს შეთანხმება ხანმოკლე აღმოჩნდა. იორდანიის მთავრობა მხარი უჭერდა „პგო“-ს (PLO) ბრძოლას დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორზე პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად სამშვიდობო კონფერენციებზე, რომელიც მოჰყვა მადრიდის სამშვიდობო კონფერენციას (1991 წ.) (jordan–Palestine relations, 1)99:113-117).

დღევანდელი მდგომარეობით იორდანია-პალესტინა ინარ-ჩუნებს მშვიდობიან ურთიერთობას. იორდანიას აქვს საელჩო ქალაქ რამალაჰში, ხოლო პალესტინას დედაქალაქ ამანში. ისინი ორივე არიან „არაბული ქვეყნების ლიგის", „სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს" (OIC) და ხმელთაშუა ზღვის კავში-რების წევრები.

რაც შეეხება იორდანია-ისრაელის ურთიერთობებს, ის დაიწყო ბრიტანეთის მანდატის პერიოდიდან. ორივე მხარე ებრ-ძოდა ერთმანეთს და ასევე ინარჩუნებდნენ კარგ ურთიერთქმე-დებსაც. სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერამდე ისინი მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ არაფორმალურ კონტაქტებს (Yitzhak,1018: 122-131). აღსანიშნავია, რომ იორდანია მონაწილეობდა სამ ომში ისრაელთს წუნააღმდეგ (THE DYN-AMIC, 2018:74-77).

1967 წლის ექვს დღიანმა ომმა იმოქმედა იორდანიის პოლ-იტიკაზე ისრაელის მიმართ. კერძოდ, იორდანიის პრიორიტეტი შეიცვალა ამ ომში დაკარგული დასავლეთ სანაპიროსა და აღმო-სავლეთ იერუსალიმის დაბრუნებასთან დაკავშირებით. იორდ-ანია სხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. 1968 წლის 21 მარტს კარამეს ბრძოლამ გაზარდა PLO-ს პოპულარობა, ამიტომ საჭირო გახდა მისგან მომდინარე გამოწვევისთვის მზადება. იორდანიასა და PLO-ს შორის იმ დღის არსებული უკმაყოფილების შემდეგ, 1970 წელს იორდანიამ განდევნა მისი ტერიტორიიდან PLO. ამის შემდეგ მეფე ჰუსაინი მზად იყო ხელი მოეწერა ისრაელთან ორმ-ხრივ სამშვიდობო ხელშეკრულევაზე. მათ შორის მშვიდობა ვერ დამყარდა 1994 წლამდე. 1994 წლის 26 ოქტომბერს სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იორდანიის მეფე ჰუსაინმა და

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა ვადი არაბას უდ-აბნოში (THE DYNAMIC, 2018:94-103). იორდანია იყო მეორე არაბული ქვეყანა, რომელმაც ცნო ისრაელის სახელმწიფო (Grossing the Borders. 2027: 156-164).

„არაბული გაზაფხულის“ დროს ეგვიპტეში, ლიბიაში, თუნისსა და სირიაში მიმდინარე აჯანყებების ფონზე ჰაშიმიტური იორდანიის სამეფო სტაბილურობის ოაზისს წარმოადგენდა. იორდანიაში არ ყოფილა მოთხოვნა, რევოლუციით რეჟიმის შეცვლის, ქვეყანაში არ მომხდარა სამეზობლოს მსგავსი რყევები. თუმც იყო ქუჩის საპროტესტო აქციები (Abdullah II of Jordan: 118). 2011-2012 წლებში იორდანიაში პროტესტი გამოიწვია ეკონომიკურმა ვითარებამ. მხოლოდ პროტესტანტების მცირე რაოდენობა მოითხოვდა მონარქიის დასრყლებას. პროტესტი მიმართული იყო პოლიტიკოსებისკენ, რომლებიც კორუმპირებულები იყვნენ. იორდანიის მონარქია იყო პირველი არაბული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც „არაბული გაზაფხულის" დროს პოლიტიკურ დათმობებზე წავიდა. არეულობის დარეგულირება მოხდა რეფორმების გატარებით, კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებით და დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიის შექმნით (Abdullah II of Jordan:123-128). ამის შედეგი იყო ის, რომ 2012-2017 წლებში ვითარება იორდანიის სამეფოში მხოლოდ საპროტესტო გამოსვლებით შემოიფარგლა, რომელიც არ გადაზრდილა რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებაში. რეგიონული არასტაბილურობის შედეგად გამოწვეული გარე ზეწოლის მიუხედავად, ამანმა აირჩია მშვიდობის შენარჩუნება (Ghedin, 2019:51).

რაც შეეხება იორდანია-ერაყის ურთიერთობებს, თავდაპირველად ისინი ოჯახური კავშირების ფონზე ახლო ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. ერაყში ჰაშიმიტების ჩამოგდების შემდეგ 1958 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მათ შორის არც თუ სახარბიელო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლის სპარსეთის ყურის ომში იორდანია შეერთებული შტატებისა და ყურის არაბული ქვეყნების გასაოცრად, ერაყის მხარეს დადგა. მანამდეც, 1980-88 წლებში ირან-

ერაყის ომის დროს იორდანია მხარს ერაყს უჭერდა. სანაცვლოდ კი ის ერაყიდან ნავთობს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასში იღებდა. ამ ომის დროს შეიქმნა „სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო (Arab Cooperation Council - ACC), რომელიც მიზნად ისახავდა წევრებს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას და ინტეგრაციას. ერაყისა და ქუვეითის გარდა, არც ერთი სახელმწიფო არ დაზარალდა ყურის კრიზისისგან ისე, როგორც იორდანია. იმ დროისთვის ჰაშიმიტების სამეფომ დიდი რაოდენობით ლტოლვილი მიიღო. ამან გაზარდა მოთხოვნა წყალმომარაგებაზე და ინფრასტრუქტურაზე, სიღარიბე და უმუშევრობა მკვეთრად გაიზარდა. 2003 წელს აშშ-ს მიერ ერაყში შეჭრის დროს იორდანია შეუერთდა კოალიციას შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით და აშშ-ს ნება დართო, მისი ზოგიერთი ბაზა გამოეყენებინა თავისი სამხედროებისთვის.

2014 წელს იემენში სამოქალაქო ომი დაიწყო. 2015 წელს იორდანია შეუერთდა საუდის არაბეთის მიერ შექმნილ არაბულ სახელმწიფოების კოალიციას მეამბოხე შიიტი ჰუთიების წინააღმდეგ. მოკავშირეებთან ერთად მისი მონაწილეობა იემენის სამხედრო კამპანიაში ადასტურებს საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების უსაფრთხოების მნიშვნელობას იორდანიის სტრატეგიული ინტერესებისთვის. იორდანიის მონაწილეობა ამ სამხედრო კამპანიაში მისი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საფუძველია.

საუდის არაბეთის მმართველი ოჯახის პირადი კავშირები იორდანიის სამეფო ოჯახებთან ათწლეულებს ითვლის. ამ ორივე ქვეყანაში სუნიტები დომინირებენ. რაც მთავარია, იორდანია არ ისწრაფვის დაუპირისპირდეს საუდის არაბეთის ლიდერის როლს არაბულ ქვეყნებში. იორდანიას ჰყავს კარგად გაწვრთნილი და პროფესიონალი სამხედრო და უსაფრთხოების სამსახურები, რაც აძლიერებს ამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხს. უნდა აღინიშნოს, რომ იორდანიის თანამშრომლობამ მოკავშირეთა ძალებთან ერაყის ომის დროს (2003 წ.) გაზარდა

მისი უსაფრთხოების აპარატის, განსაკუთრებით მისი სპეცრაზმის შესაძლებლობები ტექნიკისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით (El-Katiri, 2011:4).

იორდანიის GCC-ს წევრ ქვეყნებთან აქვს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები. განსაკუთრებით კი საუდის არაბეთთან. იორდანია არის ის ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ნახშირწყალბადის რესურსები. ის მთლიანადაა დამოკიდებული ნავთობის მიწოდებაზე შეღავათიანი ტარიფებით GCC-ს ნავთობის ექსპორტიორებისგან. საუდის არაბეთი, ქუვეითი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები ასევე წარმოადგენენ იორდანიის განვითარებისათვის დახმარების წყაროს.

იორდანიასა და საუდის არაბეთს შორის კარგ ურთიერთობებს ცხადყოფს ის გარემოება, რომ ამ სახელმწიფოთა მეთაურებს შორის დიდია ვიზიტების რაოდენობა. ასევე მნიშვნელოვანია მათ შორის სამხედრო თანამშრომლობაც. ამას გარდა, დღესდღეობით, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო იორდანიისათვის სარგებლის მომტანად ითვლება. ისინი მშვიდობიანად აგრძელებენ ერთმანეთს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სახის თანამშრომლობას.

დასკვნა

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, სადაც იორდანია მდებარეობს, პრობლემებით და სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტებითაა სავსე. მიუხედავად ამისა, ის ცდილობს შეინარჩუნოს მშვიდობიანი ურთიერგობა რეგიონის ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე, იორდანიის როლი ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოებაში მმიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

„Abdullah II of Jordan", "عبد الله الثاني بن الحسين", https://en.Wikipedia .org/wiki/Abdullah_ II_of_Jordan.

AFP, *"Fifty years ago: Black September for PLO "*(Paris, 2020); https: //www.france24.com/en/20200915-fifty-years-ago-black-sep tember-for-plo.

Al-Husseini. Jalal, *"Jordan and the Palestinians"* (Presses de l'Ifpo, 2013).

Al-Sharif. Osama, *"Jordanians fuming over gas deal with Israel"* (Al Monitor, Independent, trusted coverage of the Middle East, 2016); https://www.al-monitor.com/originals/2016/10/ jord an-israel-gas-deal-popular-protest.html

Amadouny. Vartan Manoug, *THE BRITISH ROLE IN THE DEVELOPMENT OF AN INFR ASTRUCTURE IN TRANSJORDAN DURING THE MANDATE PERIOD, 1921-1946* (University of Southampton, 1993).

Aruri. Naseer, "*The PLO and the Jordan Option"* (Middle East Report 131,1985); Ashton. Nigel, *"King Hussein of Jordan"*, (201 http:/ /eprints.lse.ac.uk/67106/1/Ashton_King%20Hu ssein_2016.pdf

Bickerton. Ian J, *„Jordan"* ; 2017. https://www.britannica.com/place/ Jordan ;

Bradshaw. Tancred, *"The Glubb Reports: Glubb Pasha and Britain's Empire Project in the Middle East 1920–1956"* (PALGRAVE MACMILLAN, 2016);

Burns. John F, *"Threats and Responses: Allies; Jordan's King, in Gamble, Lends Hand to the U.S."* (The New York Times, 2003); https://shorturl.at/fmqzV

Caritas Jordan, *„IRAQI REFUGEES IN JORDAN"* (2020); https:// www.caritasjordan.org.jo/Resources/site_62/Rep003%20Iraqis %20Refugees%20Situation%20Report%20-%2026112020 %20c opy. pdf

„Constitutional history of Jordan"; 2020. https://constitutionnet.org/ country/jordan

Dabash. Dina Dahood, *„From Burden to Economic Asset: Palestine Refugee Camps in Jordan"* (Urbanet,2022);https://www.ur banet.info/economic-asset-palestine-refugee-camps-jordan/

El-Katiri. Mohammed, *"THE GULF COOPERATION COUNCIL ENLARGEMENT: Geopolitics Reconsidered"* (UK: Conflict Studies Research Centre, 2011);

European Resettlement Network, *"IRAQI REFUGEES IN JORDAN, LEBANON & SYRIA"* (2007); https://icmc.cmbox.be/page/iraqi-refugees-jordan-lebanon-syria

Tristam Pierre, *Black September: The Jordanian-PLO. Civil War of 1970*, ThoughtCo. 2009. *"Foreign relations of Jordan"*; https://en.wikipedia.org/wiki/Foreign_relations_of_Jordan

Ghedin N, *„Jordanian Winter: Why Jordan was not affected by the Arab Spring?"* (Department of Political Science Master's Degree in International Relations Global Studies, 2019); http://tesi.luiss.it/25332/1/636072_GHEDIN_NICOLA.pdf?fbclid=IwAR0KNRyljiHYN6er-9BYdvjUdHwXwp5FZExvb2-NNSKSFFkgvCuOno8Z9-w .

G*rossing the Borders.* 2017. https://amman2jerusalem.com/crossing-borders-jordan-israel-palestine/.

Glubb. John Bagoth, *"Britain and The Arabs. A Study of Fifty Years 1908 to 1958* " (London: 1959);

"Her Majesty Queen Rania Al Abdullah" (2023); https://www.queenrania.jo/en/rania

„History of Western Civilization II: Ch. 31 The Middle East after the Ottoman Empire. Palestinian Refugees". Lumen Candela; https://courses.lumenlearning.com/suny-hccc worldhistory2/chapter/palestinian-refugees/

International Labour Organization, *"Access to work for Syrian refugees in Jordan: A discussion paper on labour and refugee laws and policies"* (Beirut: ILO Regional Office for Arab States, 2015); https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---arabstate s/---ro-beirut/doc uments/publication/wcms_357950.pdf.

"Jordan Economic Monitor" (Public Investment: Maximizing the Development Impact, 2022); https://shorturl.at/cyK34

„Jordan–Palestine relations“ 1999. https://en.wikipedia.org/wiki/ Jordan%E2%80%93Pale stine_relations

“King Hussein I, Biography”, http://www.Kinghussein.gov.jo/biogr aphy.html

Kamel S. AbuJaber, *„Government and Society “. 2012.* https://www. britannica.com/place/ Jordan/Government-and-society *“King Abdullah II”*; https://kingabdullah.jo/en/page/vision/progress

Kirk H. Sowell, *Jordan is Sliding Toward Insolvency* (2016) . https:/ /shorturl.at/lmr24

„King Hussein I, Biography”; http://www.kinghussein.gov.jo/biogra phy. html

King Hussein Foundation, *“His Majesty King Hussein”* (Amman, Jordan 2020); https://kinghusseinfoundation.org/en/Home/His-Majesty-King-Hussein

Maggiolini. Paolo, *„THE HASHEMITE EMIRATE OF TRAN SJO RDAN“*(Milano 2011);

Mitchell, G. Bard, *„Jordan: The History of Modern Jordan“* (NY: Alpha Books, 2008); https://www.jewishvirtuallibrary.org/the-history-of-modern-jordan

Murray. Julie, *“Legacies of the Anglo-Hashemite Relationship in Jordan: How this symbiotic alliance established the legitimacy and political longevity of the regime in the process of state-formation, 1914-1946”* (Tufts University 2018);

Osama Al Sharif, Jordanians fuming over gas deal with Israel (Al Monitor, Independent, trusted coverage of the Middle East,2016).https://www.al-monitor.com/originals/2016/10/jor dan-israel-gas-deal-popular-protest.html

Religious Freedom in the World, *“Jordan Religion: LEGAL FRAMEWORK ON FREEDOM OF RELIGION AND ACTUAL APPLICATION”* (2021); https://acninternational.org/ religiousf reedomreport/wp-content/uploads/2021/04/Jordan.pdf

Satloff. Robert B, *“From Abdullah to Hussein. Jordan in Transition”* (New York: OXFORD UNIVERSITY PRESS, 1994);

Schenker. David, *"Jordan's Economy Surprises"* (The Washington Institute, 2015); https:// www.washingtoninstitute.org/policy-analysis/jordans-economy-surprises

"The Constitution of The Hashemite Kingdom of Jordan"; 196). https://www.refworld .org/pdfid/3ae6b53310.pdf

The Danish Immigration Service, *„Palestinian Refugees. Access to registration and UNRWA services, documents, and entry to Jordan"* (The Danish Immigration Service, 2020); https://www. ecoi.net/en/file/local/2032043/Palestine+Refugees+june+2020.pdf

„THE DYNAMIC RELATIONS BETWEEN JORDAN AND ISRAEL". 2018. http://repository. umy.ac.id/bitstream/handle/123 456789/ 11810/g.%20Bab%203.pdf?sequence=7&isAllowed=y&fbclid=IwAR3L7mCImEUYsSMHlCdxezJy4jLm0AQYf-akVlwRFTb1ROfhMB k55FEXbNg

"The Royal Family" (The official site of Jordan Tourism Board, 2021); https://inter national.visitjordan.com/page/8/The-Royal-Family

The United Nations Relief and Works Agency for Palestine Refugees in the Near East. 2019

U.S. Library of Congress, *„The Palestinians and the PLO", 20033.* https://countrystudies. us/jordan/62.htm

World Food Program USA, *"10 Facts About the Syrian Refugee Crisis in Jordan*" (Washington, 2022);https://www. wfpusa.org/articles/10-facts-about-the-syrian-refugee-crisis-in-jordan/

Yitzhak Gal, *Israel-Jordan Cooperation: A Potential That Can Still Be Fulfilled* (The Israel Institute for Regional Foreign Policies, 2018).https://mitvim.org.il/wp-content/uploads/English-Yitzhak_Gal_-_Israel- Jordan_cooperation_-_May_2018.pdf

„شعار المملكة الأردنية الهاشمية". https://shorturl.at/joHQU

" جلالة الملك عبدالله الثاني إلى رئيس الوزراء علي أبو لراغب حول مفهوم الأردن أولا رسالة" („A message from His Majesty King Abdullah II to Prime Minister Ali Abu Ragheb on the concept of Jordan First"); https://shorturl.at/oyBU1

„*الحسين بن طلال*“; https://www.mfa.gov.jo/content/King-Hussein-bin-Talal .
„*الملك عبد الله الثاني ابن الحسين*“, وزير الخارجية وشؤون المغترينچن. https://www.mfa.gov. jo/content/King-Abdullah-II.